ფასი 60 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ახალი ნაკადი

საქართველოს მემარცხენე სოციალისტ-ფედერალისტ მაშვრალთა პარტია.

ხუთშაბათი, 6 თებერვალი.

№ 6 1919 წ.

გაზეთი ხმთავითვე გამოდის კვირაში ორჯერ — ორშაბათობით და ხუთშაბათობით.

მიიღება ხელის მოწერა 1919 წლისათვის

გაზეთ

**„ახალი ნაკადი"-ზე**

გაზეთი ამ დაგითვე გამოდის კვირაში ორჯერ — ორშაბათობით და ხუთშაბათობით.

გაზეთის ფასი:

ერთი თვით 4 მან., ცალკე ნომერი 60 კაპ.

დაბეჭდვა შეიძლება წლიურად. მიიღება განცხადება.

ხელის მოწერა ღირაგებით მიიღება „ქართული მეწიგნეობის ამხანაგობის" კანტორაში ნ. ინტონ ხტურსოვასთან (გოლოვინის პრ., 46) და მუშტაიდის ქ., № 15, მუშათა კლუბში ალექ. თაბუკაშვილთან. აქვე შეიძლება ტელეგრაფის მიღების ნახვა.

[illegible], თებერვლის 6.

ამხანაგებო! ახლოვ- ემზადეთ დება დამფუძნებელი დამფუძნებელ კრების არჩევნები. კრებისათვის თქვენ უკვე წაიკითხავდით ჩვენ შეხედულებას დამფუძნებელ კრების შესახებ, თუ რა მოვალეობა უნდა დააკისროს მშრომელმა ხალხმა მას. დამფუძნებელმა კრებამ უნდა განამტკიცოს სახალხო მონაპოვარი თავისუფლება და ფართო ნიადაგი მოუმზადოს სოციალისტურ საკითხების გადაჭრას, იგი ნამდვილი რევოლიუციონური სულისკვეთებით გაჟღენთილი მშრომელი ხალხის გამოხატულება უნდა იყოს, იგი ვერ შეჩერდება დღევანდელ რევოლიუციის ქარტეხილში, იგი უნდა წარმოადგენდეს რევოლიუციონურად დარაზმულ მშრომელი ხალხის ზრახვებს.

მაშ, ამხანაგებო! თქვენი გულისყური ამ ჟამად აქეთ უნდა იყოს მიპყრობილი, მოეწყვეთ ორგანიზაციულად და ასე დარაზმული წარსდგეთ მის წინაშე და ხმა მიეცით თქვენი ნამდვილი ინტერესების დამცველ პარტიას, რომელიც სასტიკად სდგას კლასიურ ნიადაგზე და არავითარ შერიგებას არ ეწევა, თქვენი მომავალი გამარჯვება თქვენ ხელთ არის. თქვენ უნდა გამოსჭედოთ მრწყინვალე მომავალი სოციალიზმი და მისი სხივებით აგზნებული ამუშვდით და დარაზმული წარსდგეთ მის წინაშე.

## საქართველოს რესპუბლიკის მაშვრალთა მიმართ!

ამხანაგებო, სოფლის და ქალაქის მუშებო! საქართველოს მემარცხენე სოც.-ფედ. მაშვრალთა პარტია თქვენ მოგმართავსთ და მოგიწოდებსთ, რათა დაუკვირდეთ საქმის ნამდვილ ვითარებას, გაითვალისწინოთ ჩვენში არსებული პოლიტიკური პარტიების მოღვაწეობა და მიუდგომელი მსჯავრის დადების შემდეგ ნათლად გაარკვიოთ, ვის უნდა მიეცეს თქვენი შეგნებული რევოლიუციონური ხმა!

ამხანაგებო! მაშინ, როდესაც ჯერ კიდევ თფილისის საქალაქო არჩევნებში თითქმის ყველა პარტიას ჰქონდა საშუალება ვრცლად მოეწყო წერილობითი და სიტყვიერი პროპაგანდა თვისი სიის სასარგებლოდ, მოეწყო თვისი ბიულეტენების ამორჩევლია შთარის ფართოდ დარიგება, ამ მხრივ ყველაზე უფრო ცუდ პირობებში იმყოფებოდა ჩვენი მუშათა სოციალისტური პარტია; მას არ ჰქონდა ბინაც კი, სადაც ამხანაგთა და თანაგრძნობთა მოწვევა შეეძლო, მას არ ჰქონდა საშუალება რომ თვისი ბიულეტენები თქვენთვის მოეწოდებია.

მიგვიაშ მას ჰქონდა ერთი რამ, რაც ყველა სხვისაგან ასხვავებდა: ეს არის ის ძალი პრინციპი, რომელიც მხოლოდ მუშათა და მშრომელთა კეთილდღეობისკენაა მიქცეული, ის რომ ეს პარტია პირველი ცდილობს, რათა მუშათა განთავისუფლება მართლაც და მუშების ხელში იყოს. ეს პარტია არ შეუშინდა დამარცხებებს და მაინც ჩაერია საერთო მოძრაობაში, და ხმები, მის სიას რომ ხვდა წილად, არ არის მყვირალა თვისი რიცხვით, მაგრამ ძლიერია იმ მისწრაფებით, რომ თვითეული მათგანი ნამდვილ მშრომელის შეგნებული ნებისყოფის გამოხატულებაა.

ეხლაც დამფუძნებელი კრების არჩევნებშიაც ჩვენი პარტია დამოუკიდებლად გამოდის და სრული იმედი აქვს, რომ საქართველოს მშრომელი ხალხი, სადაც კი მიაღწევს ახალი ნაკადი, ხმას მისცემს საქართველოს მემარცხენე სოც-ფედერალისტ მაშვრალთა პარტიას

## № 9.

## ამხანაგებო!

დამფუძნებელი კრების არჩევნებში თქვენი მოვალეობაა, რომ ხმა მისცეთ მხოლოდ მემარცხენე სოც.-ფედერალისტ მაშვრალთა პარტიის სიას **№ 9.**

მემარცხენე სოციალისტ-ფედერალისტ მაშვრალთა პარტია საქართველოს დამფუძნებელ კრებას სთვლის მხოლოდ მშრომელთა ნების გამომხატველ დაწესებულებად და მოითხოვს, რომ ხალხის ინციატივა სახელმწიფო ცხოვრებაში ფართოდ იყოს განვითარებული და რეფერენდუმის საშუალებით მას ნება ჰქონდეს დამფუძნებელი კრების დაუყონებლივი დათხოვნისა, თუ იგი ოდნავ მაინც ულალატებს მშრომელთა კატეგორიულ ნების ყოფას.

მემარცხენე სოც.-ფედ. მაშვრალთა პარტია მთელის ძალღონით დაიცავს ჩვენი ქვეყნის თავისუფლებას, რომ ამით საქართველოს მშრომელ ხალხს შეეძლოს შეუერთდეს საერთაშორისო მოძრაობას და ეზიაროს საბოლოო განთავისუფლებას. საქართველოს რესპუბლიკა პატარა თვითმართველ ერთეულებად უნდა დაიყოს.

ჩვენი პარტია უწმინდეს მოვალეობად ისახავს, რათა სხვა-და-სხვა ქვეყნის მშრომელი ხალხი ერთი მეორეს დაუკავშიროს და შეჰქმნას ერთი რევოლიუციური ფრონტი ბურჟუაზიული სამყაროს წინამდეგ მიმართული.

ჩვენი პარტია ფიქრობს, რომ სოციალიზმის დამყარებისათვის აუცილებელია ქალაქისა და სოფლის მუშათა გაერთიანება და მჭიდროდ დაახლოება.

ჩვენი პარტია მოითხოვს, რომ საქართველოს რესპუბლიკა უდიდესად დემოკრატიული იქნას და არავითარ ძალადობას მასში არ ექნეს ადგილი.

ჩვენი პარტია შეეცდება, რომ საქართველოს სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში მშრომელი ხალხი თვით პირისპირ და უშუამავლოდ იღებდეს მონაწილეობას.

ჩვენი პარტიის უმთავრესი საზრუნავი — მშრომელი ხალხის საკეთილდღეო რეფორმების განხორციელებაა ამიტომ ჩვენი დეპუტატები მოითხო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

**ამხანაგებო!** ათი დღის შემდეგ დაიწყება საქართველოს დამფუძნებელი კრების არჩევნები. თქვენი მოვალეობაა დაუყონებლივ შეუდგეთ გაცხოველებულ მუშაობას, რომ გამარჯვება მოუპოვოთ მაშვრალთა სიას

# 9 №.

ვენ მუშათა მდგომარეობის ყოველგვარ გაუმჯობესებას და მუშათა კანტროლისა და მუშათა სინდიკატების დაარსებას.

მიწის საკითხში ჩვენი კატეგორიული მოთხოვნილება იქნება, რომ მთელი მიწა გადაეცეს დასამუშავებლად და სასარგებლოდ სრულიად უფასოდ მთელად მიწის მუშათა ამხანაგობათ.

ჩვენი პარტია იმუშავებს და იბრძოლებს, რათა განათლება და კულტურა, რომელიც დღეს მხოლოდ შეძლებულთა ხვედრია, უსედ მოჯინოს მაშვრალთა ქოხებსაც და შრომის შვილნიც ეზიარონ გონებრივსა და სულიერ განვითარებას.

ჩვენი პარტია ღიად ცდილობს მოქცევს ხალხის სურსათით და უპირველესი საჭიროების საგნებით უზრუნველყოფას. ხალხის ჯანმრთელობისათვის შესაფერ პირობების შექმნას და სხვ.

ერთი სიტყვით, ყველა საკითხში, რომელიც კი ჩვენს სახელმწიფოებრივ ცხოვრებას შეეხება, საქართველოს მემარცხენე სოც.-ფედ. მაშვრალთა პარტია მხოლოდ მშრომელი ხალხის საკეთილდღეოდ იმუშავებს და იბრძოლებს. ეს პარტია ნებას არავის მისცემს, რომ ჩვენს რესპუბლიკაში რომელიმე ეროვნების შვილები იყვნენ შევიწროვებულნი და მოითხოვს რათა მათ საშუალება ჰქონდეთ თავისუფალი კულტურული განვითარებისა.

მაშ, ამხანაგებო, თქვენი ხმა მხოლოდ 9-ე №.

## ჩვენი გამარჯვება.

ტფილისის საქალაქო არჩევნებში ჩვენმა პარტიამ 427 ხმა მიიღო და ჩვენ ვფიქრობთ, რომ ეს ჩვენი პირველი გამარჯვებაა. შეიძლება მკითხველებს გაუკვირდესთ, რომ ჩვენ 427 ხმის მიღებას გამარჯვებად ვსთვლით. დიახ, ჩვენ ასე ვფიქრობთ და ამის საბუთიცა გვაქვს. სულ ორი კვირაა, რაც პოლიტიკურ სარბიელზე გამოვედით, მოკლებული ბინა თავშესაფარის, ნივთიერ სახსარს და ჩვენ საშუალება არ გვქონდა ბიულეტენებიც კი დაგვერიგებია ამრჩევნებისთვის, არამცა თუ ფართო პროპაგანდა გვეწარმოებია. მიუხედავად ამისა ჩვენ მაინც მივიღეთ 427 ხმა. და მერე ვისია ეს ხმები? იგინი სავსებით მუშათა ხმებია, მათში სავსებით გამოხატულია სოციალისტ მშრომელთა ნებისყოფა. და ეს გარემოება, რომ გვანუგეშებს, იმედს გვინერგავს და სამოქმედოდ მოგვიწოდებს. დიახ, ამიერიდან იცოდნენ ჩვენმა ინტერპელიანტებმა, რომ ჩვენი პარტია საზოგადოების განსაზღვრულ ჯგუფს ემყარება და ამიერიდან მისი მოქმედების შეჩერება მათ ძალას აღემატება.

დიახ, ქალაქის არჩევნებში ჩვენ ზნეობრივი გამარჯვება მოვიპოვეთ.

ხმა საქართველოს მემარცხენე სოციალისტ-ფედერალისტ მაშვრალთა პარტიის

### კანდიდატებისა დამფუძნებელ კრებაზე.

# № 9

1. ფანცხავა იაკობ სპირიდონისძე—სახალხო მოღვაწე, პუბლიცისტი.
2. წერეთელი ალექსანდრე იოსებისძე—პარლამენტის წევრი, თბილისის საბჭოს წევრი, სახალხო მოღვაწე, ჟურნალისტი.
3. იოსელიანი ალექსანდრე იასონისძე—რკინის გზის მუშათა პროფესიონალური კავშირის სექციის წევრი.
4. ჯანდიერი გიორგი ილარიონისძე—სახალხო მოღვაწე, მასწავლებელი მეურნე.
5. სულხანიშვილი გიორგი ივანესძე—ტრამვაის მუშა.
6. ყარაზიშვილი ისიდორე სოლომონისძე—სახალხო მოღვაწე.
7. ფხაკაძე ივანე ფილიპესძე—სასამართლოს მოღვაწე.
8. სტურუა ანტონ ივანესძე—სახალხო მოღვაწე, მესტამბე.
9. გერსამია ხვიჩა ლუკასძე—სახალხო მოღვაწე.
10. ფსტიაშვილი ნიკოლოზ იაკობისძე—რკინის გზის მუშა.
11. ჯაფარიძე ალექსანდრე მელიქიასძე—იურისტი.
12. კვერეხაძე ერმილოზ ივანესძე—ტრამვაის მუშა,
13. აბრამიშვილი მიხეილ გედევანისძე—მასწავლებელი.
14. ლომაიძე ნიკოლოზ ალექსანდრესძე—მუშა.
15. კვირკველია მლოტონ მელქისედეკისძე—მასწავლებელი.
16. ჩომახიძე ერასტი გაბრიელისძე—კონდუქტორი რკინის გზის.
17. ლეჟავა ნიკოლოზ რომანისძე—ინჟინერი.
18. ლორთქიფანიძე ვარლამ სპირიდონისძე—ფარმაცევტი.
19. მსხვიძე ალექსანდრე სამსონისძე—პროვიზორი.
20. დგებუაძე ნინო ფარნაოზის ასული—მასწავლებელი.
21. კიკვაძე ლეონიდოზ ლავრენტისძე—მასწავლებელი.
22. ნიჟარაძე რაჟდენ ფარნაოზისძე—სოფლის მეურნე.
23. ბაქრაძე მიხეილ მელიქიასძე—
24. ბოკერია მიხეილ ივანესძე—მოხელე.
25. პანტურია გიორგი პავლესძე—მასწავლებელი.
26. დოლიძე ლომენტი მაქსიმესძე—მუშა.
27. ჩიქვაიძე გრიგოლ მელიტონისძე—მუშათა და ჯარის კაც. საბ. წევრი.
28. ქავთარაძე შუშანიკა ფარნაოზის ასული—მასწავლებელი.
29. დათეშიძე ნიკიფორე ალექსისძე—მუშა.
30. ქევლიშვილი ესტატე გიორგისძე—ტრამვაის მუშა.
31. ჩიქოვანი თეოფანე სამსონისძე—პროვიზორი.
32. ქავთარაძე გრიგოლ იოსებისძე—მუშა.
33. ხარაბაშვილი კარპეზ ფარნაოზისძე—ფარმაცევტი.
34. ჩიკვაიძე ნადეჟდა მიხეილის ასული—
35. ჭიშვილი დავით ქაიხოსროსძე—სტუდენტი, პარტიული მუშა.
36. ხუციძე გალაქტიონ უფლისასძე—ფარმაცევტი.
37. კოპლაძე იოსებ გრიგორისძე—დეპოს მუშა.
38. ლორთქიფანიძე გიორგი სიმონისძე—მუშა.

## პარტიის წევრებს.

თქვენ ამხანაგებო, იცით, თუ რამდენი დაბრკოლების დაძლევაა საჭირო, რომ ჩვენმა პარტიამ გზა გაიკაფოს და თვის სანდომელს ეწიოს. გარდა სხვა ყოველგვარ დაბრკოლებისა ჩვენ ხელს გვიშლის ის გარემოებაც, რომ ჯერჯერობით ყველგან ვერ შევქმენით ჩვენი ორგანიზაციები. ჩვენ თითქმის ყოველი კუთხიდან მოგვდის თანაგრძნობის სალამი, მაგრამ სამწუხაროდ დღემდის ვერ შევძელით, თანაგრძნობისათვის საჭიროდ მიგვეწოდებინა ჩვენი ხმა. ჩვენი პარტიის მთავარი კომიტეტი მოუწოდებს პარტიის წევრებს და თანამგრძნობთ, რათა ყველამ გამოიღოს თვისი წვლილი მუშაობის სახით და მუშა, თუ ინტელიგენტი, სტუდენტი, თუ მოწაფე, ქალი თუ კაცი ყველა დაუყონებლივ უნდა პარტიულ სამუშაოზე გადიდეს. ვისაც სწამს, რომ ჩვენი პარტია ჭეშმარიტად მუშური და სოციალისტურია, ყველა ენერგიით უნდა შეუდგეს მუშაობას! ამ მხრივ ყოველგვარი დაგვიანება სიკვდილის უდრის.

ჩვენ დამფუძნებელ კრებაზე გამოვდივართ ჩვენი სიით—9 № და იმედი გვაქვს, რომ ამხანაგები საშუალებას არ დაგვიკლებენ, რათა ხალხმა ნათლად გაიგოს, თუ რა სურს და რა ასულდგმულებს სიას 9 №. მიმოფანტეთ, ამხანაგებო, ჩვენი ქვეყნის ყველა კუთხეში ჩვენი მოწოდების ცხოველ-მყოფელი თესლი და გრწამდეთ, რომ ეს თესლი მხოლოდ ქართველი მშრომელი ხალხის საკეთილდღეოდ გამოიღებს თვის მადლიან ნაყოფს.

**ამხანაგებო, მაშ ხვალიდან ყველა პარტიულ სამუშაოზე უნდა იდგეთ! თვალყური ადევნეთ ჩვენს გაზეთს და პარტიულ განცხადებებს. ტფილისელო ამხანაგებო, ხშირად ინახულეთ ჩვენი კლუბი!**

მთავარი კომიტეტი.

## პარტიულ ორგანიზაციებს!

ამხანაგებო! დაუყონებლივ გაგზავნეთ წარმომადგენლები დამფუძნებელი კრების სასოფლო, სარაიონო, საქალაქო და სამაზრო კომისიებში. იცოდეთ, არც ერთი კომისია არ დაგრჩეთ. გააცხოველეთ მუშაობა. შეამზადეთ ხალხი, რათა მან ხმა მისცეს მუშათა სიას № 9-ს.

ჩვენი ბიულეტენები დაურიგდება სამაზრო კომისიებს. თქვენ მოითხოვეთ ეს ბიულეტენები და დაუყო-

ბჟი დაპატიმრებულია მოკავშირეთა და ოსმალეთის შორის სამშვიდობო პირობათა დარღვევის გამო.

---

### კრება ბერლინში.

დამოუკიდებელ სოც.-დ-ს ადრილეგომანს 27 იანვარს, საიდუმლო კრება მოუხდენია ბერლინში, რომლის წევრებსაც კატეგორიულად მოუთხოვნიათ საბჭოთა სისტემის დაცვა.

---

### სამხედრო წესები.

მთავრობის განკარგულებით ახალქალაქის და ახალციხის მაზრებში სამხედრო წესები გამოცხადდა. გენერალ - გუბერნატორად დაინიშნა გენ. მაზნიაშვილი.

---

### გერმანიის ჯარისკაცთა ცენტრალურ საბჭოთა ყრილობა.

გერმანიის სოციალისტური რესპუბლიკის ცენტრალური საბჭო 4 თებერვლისთვის ბერლინში იწვევს ყველა კორპუსის ცენტრალურ საბჭოთა ყრილობას ჯარის უფროსთა უფლების შესახებ ახალი კანონის გამოსარკვევად.

---

### გერმანიის ჯარისკაცთა საბჭოების დეპუტატების რეზოლუცია.

11 და 15 კორპუსის სალდათა საბჭოებს ჰქონდა საერთო სხდომა გიზენში და ხმის უმეტესობით დაადგინეს უარი ხთქვან ეროვნული ყრილობის დაცვაზე ვეიმარში.

---

## ახალი ამბავი.

დამფუძნებელ კრებაში ჩვენი სიის № 9 არის; ამხანაგებო, არ დაგავიწყდეთ ეს ნომერი.

---

ახალგაზრდა მგოსანი კ. მიქაძე არის და სავადმყოფოდან ამ დღეებში გამოეწერება.

---

თფილისის საქალაქო არჩევნების შედეგი:

| №№ | ხმები: |
|---|---|
| 1 | 26.911 |
| 2 | 3.817 |
| 3 | 141 |
| 4 | 440 |
| 5 | 2.973 |
| 6 | 6 |
| 7 | 427 |
| 8 | 398 |
| 9 | 307 |

სულ მონაწილეობა მიუღია არჩევნებში 35,370 ამრჩეველს. თითო ხმოსანზე მოდის—393.

ამგვარად ჩვენმა პარტიამ მიიღო 427 ხმა; გაიყვანა ერთი ხმოსანი და მეტრს გადარჩა 34 ხმა.

---

### ინგლისელი ჯარის კაცები.

„მცხოვრებმა ვაკეს უბანში ვ. ქორდანიამ განუცხადა მილიციის უფროსს, რომ მისი შინ არ ყოფნის დროს შესულან მის ოთახში 15 შეიარაღებული ინგლისელი ჯარისკაცი რომელთაც გაუტანიათ ყოველივე ნივთები რაც სახლში რამ ჰქონდა.

---

### სახადი სომხეთში.

ოფიციალური ცნობით სომხეთში სახადით იხოცება 8 პროცენტი ავათმყოფებისა.

---

### სომხების გამგზავრება.

ამ დღეებში გაიგზავნება ბაქოში სპეციალური მატარებლით სპარსეთის ქვეშევრდომი სომხები.

---

### ლექტორთა კრება.

დღეს საღამოს 6 საათზე სახალხო-ში დანიშნულია სახალხო უნივერსიტეტის ქართველ ლექტორთა კრება, ფრიად მნიშვნელოვან საკითხების განსახილველად. ყველა წევრის დასწრება სავალდებულოა.

---

### 8 საათის სამუშაო დღე.

საქართველოს რესპუბლიკის რკინის გზის მოძრაობის უფროსმა დაუგზავნა განკარგულება, რომ თანახმად შრომისა და გზათა სამინისტროს დადგენილებისა, რკინის გზებზე შემოღებული უნდა იქნეს 8 საათის სამუშაო დღე.

---

### ყაჩაღთა ბრბო.

შინაგან საქმეთა სამინისტროს აცნობებენ რომ, თრიალეთის, მანგლისის და ბელოკლიუჩის რაიონებში შემოსულია დაგეთხაჩინელ სომხების ყაჩაღთა ბრბო რომლებიც ჩადიან მრავალ ბოროტ მოქმედებას.

### ჯილდოები ხელოვანთ.

მთავრობამ დაადგინა დაურიგდეს ჯილდოთ განსაკუთრებული ნიშნები, ყველას ვინც ხელოვნებისადმი თვალსაჩინო ღვაწლს დასდებს.

---

## ბოროტ მოქმედება რკინის გზაზე.

წამებულმა და ტანჯულმა საშშობლომ თავისუფლება მოიპოვა, საქართველოს ტანჯული ხალხი ისწრაფვის თავისი ამომავალი თავისუფლების მზის სხივებს დაეწაფოს და დასტკბეს მისი სითბოთი და სიტკბოებით.

გამოღვიძებული საქართველოს გამარჯვებული ხალხი, თავმოწონებით დაიარება საქართველოს კიდით-კიდემდე, უხარიან, ზეიმობს.

მაგრამ არ სძინავთ მათ მტრებსაც! მათ სურთ ჩაახრჩონ, ჩაჰკლან საქართველოს თავისუფლება. და ეს ზეიმი შესცვალონ კვნესა გმინვაზე, ასვან ქართველ ხალხს მწარე სამსალა:

ეს, მტერთა ფარული თუ აშკარა საქმიანობა კარგათ იცის საქართველოს დემოკრატიამ. და, აკი ვინც კი გაბედა ფარული ქვეშა გრძნობის სისრულეში მოყვანა, მას ცხვირიდან ძმარი ადინა. დღეს ყველგან ხალხის „დარაჯი“ ანუ საუკეთესო შვილი სდგას, თავისუფლების დასაცავად სადარაჯოზე, ის სდებს თავის სიცოცხლეს.

მაგრამ, ჰოი უბედურებავ, თურმე ჩვენ შიგნით ბევრი გვყოლია იუდა ისკარიოტელი-მოღალატეები. ამ წერილშივე მოვიყვან საქართველოს რესპუბლიკის ერთ იუდა ისკარიოტელის ამბავს.

„21 იანვარს, ფოთიდგან ღამის $10^{1}/_{2}$ საათზე, თფილისისაკენ გამოვემგზავრე. გზაში ვხედავდი საშინელ სურათებს. მატარებლის კონტროლიორი გვარათ ზუმბაძე, კონდუქტორებთან ერთათ საქართველოს რესპუბლიკის სახელით ფულს ახდევინებდა მგზავრებს და ბარათებს კი არ აძლევდა. რკინის გზის მართველობის დაუმატებია ყველა ბილეთზე სამგზავროდ ათი (10) მანეთი „პლაცკარტი“. ვაგონში შემოსული ურიცხვ ხალხს ბევრს ხსენებული „პლაცკარტი“ არ ქონდათ. კონტროლიორი და კონდუქტორები ამბობდნენ „ეს საქართველოს რესპუბლიკის სასარგებლოთ, და ფულს ნუ იშურებთო“ და თან შეიარაღებულ მილიციით ამუქრებდნენ. მგზავრები უსიტყვოთ იძლევდნენ და აძლევდნენ, თან სთხოვდნენ „კვიტანციას“ მაგრამ პასუხი ერთი იყო: „სადგურზე მიიღებთ, ჩვენ აქ არავითარი ბარათები თან არ დაგვაქვს, და თუ გსურთ არა გნებავთ მიბრძანდითო. სხვათა შორის იყვნენ „უბილეთონიც“ ვისაც ყიდვა ვერ მოესწრო, მათ ორ ზომას ახდევინებდნენ, მაგრამ მაინც არავითარ საბუთს არ აძლევდნენ. თვალი ვადევნე ორ კუპეში, სადაც 20 მგზავრი შევნიშნე. რას შეაგროვებდნენ მთელს ვაგონში ვაგონში ან მთელს მატარებლის შემადგენლობაში ალახმა უწყის. რამდენიმე სადგურზე კონდუქტორს ბევრჯერ გაუმეორეთ კვიტანციის მოცემა, მაგრამ დაპირება იყო, სხვა არაფერი, კონტროლიორი ხომ ნოეს ყვავივით დაიკარგა.

კონდუქტორს რომ თავი შევაბეზრეთ, მან მერმე იმანაც თავს უშველა. მრავალ რიცხოვან მგზავრების გამო და საშინელ სივიწროებისგან ჰაერი შეიხუთა, მგზავრის გვარი ვერ დავისწავლე გული მისდიოდა, მაგრამ კონდუქტორი თფილისის სადგურამდის ისე ჩამოვედით აღარ მოგვკარებია.

მე ამ წერილს ვწერ [illegible] საყურადღებოთ, ვის[illegible] რილი მყავს [illegible] და ზოგიც აშკარა თვალით მნახველნი. ისეთი მოწმები ვის, პატიოსნებაში ეჭვი მოდგომითი ჩვენებაზე არავის არ შეეპარება: მ. ა—ძე, თ. ა—ძე, გ. ყ—ი, ვ. კ—ი, გ. ს—ი და სხვა. შემეძლო მოწმეების ახლავ მთლიანი გვარის მოყვანა, მაგრამ წარმოვადგენ პირველ მოთხოვნაზე. ვისაც სურს, შეუძლიანთ მიმართონ ჩვენს რედაქციას, მოწმეებს და პირად ჩვენებისთვის.

მუშა კახელი.

---

ამხანაგებო! ჩაუკვირდით ჩვენს სიას № 9-ს. მასში მოთავსებული არიან ნაცუკეთესო მუშები და მუშათა გლეხკაცობისათვის მებრძოლნი. მაშ,

თქვენი ხმა მხოლოდ

მე-9 №-ს.

---

## მაშვრალთა ხაღამო.

შაბათს, 1 თებერვალს, დემოკრატიულ კლუბში გაიმართა საქართველოს მემარცხენე სოც.-ფედ. მაშვრალთა პარტიის სასარგებლოდ დიდი სალიტერატურო საღამო. მოხსენებლად გამოდიოდნენ ალ. წერეთელი, გ. სულთანიშვილი და ს. იოსელიანი, რომლებმაც ნათლად და გარკვევით დაახასიათეს ჩვენი პარტიის სამოქმედო გზა. სხვათა შორის ამხ. ალ. წერეთელმა აღნიშნა თავის მოხსენებაში, რომ დიდი მიავალეთი მუშათა კლასისა, რომელმაც მათ იწყეს, ზოგიერთი ფედერალისტურ წესწყობილების დამყარების საქმეში. მოხსენებლებს დიდი თანაგრძნობით შეხვდა დამსწრე საზოგადოება, რომლებმაც მქუხარე ტაშის ცემით დააჯილდოვეს. მოხსენების შემდეგ ადგილობრივ დრამატიულ წრის მიერ წარმოდგენილ იქნა „სოფლიდან ჩრდილოეთში“ ერთმოქმედებიანი, რომელმაც მთლიანი შთაბეჭდილება დასტოვა დამსწრე საზოგადოებაზე. ამას მოჰყვა დივერტისმენტი, რომელშიაც მონაწილეობა მიიღეს ჰ. ფრანგიშვილმა, ლორთქიფანიძემ, ხიმშელმა, პეპინაძემ ს. კოლხიდელმა, და სხვ. შემდეგ გაიმართა ცეკვა და ბოლოს ვახშამი.

ა.—თა.

---

რედაქტორ-გამომცემელი

ხარებავა კოლუმბიის.

სტამბა „ქართული ბეჭდვითი ამხანაგობის“, გოლოვინის ქუჩ. ტელ. 4—73.